



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №15

2012 წლის 15 თებერვალი  
ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28 დეკემბრის №173  
განკარგულებით დამტკიცებული „სპორტული საკლუბო გუნდის „შუქურა“-ს  
მხარდაჭერის პროგრამა“-ში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 დეკემბრის №173 განკარგულებით დამტკიცებული „სპორტული საკლუბო გუნდის „შუქურა“-ს მხარდაჭერის პროგრამა“-ში თანახმად დანართისა;
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ჯ. ჯინჭარაძე).
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე

**სპორტული საკლუბო გუნდის „შუქურა“-ს მხარდაჭერის პროგრამა**

**1) პროგრამის სახელწოდება:**

სპორტული საკლუბო გუნდის „შუქურა“-ს მხარდაჭერის პროგრამა

**2) პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი:**

2012 წლის 1 იანვარი 2012 წლის 31 დეკემბრამდე;

**3) პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:**

50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი

**4) პროგრამის დაფინანსების წყაროები:**

ა) ძირითადი – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი;

**5) პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:**

შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი „შუქურა“

**6) პროგრამის აღწერა და მისი აქტუალურობის დასაბუთება:**

ქართული ფეხბურთი გასული საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს და განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. ბოლო პერიოდში ჩვენს რეგიონში ფეხბურთი არც თუ სახარბიელო დღეშია, შესაბამისად, საფეხბურთო კლუბი „შუქურა“ თავის ისტორიაში ყველაზე ცუდ პერიოდს განიცდის. გამომდინარე აქედან, გარკვეული ფინანსური მხარდაჭერა გავლენას მოახდენს გუნდის შემდგომ გაძლიერებასა და წარმატებით ასპარეზობაზე. საფეხბურთო საკლუბო გუნდი, წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, ეტაპობრივად გამოიყენებს ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებს: საფეხბურთო კლუბის შრომითი ანაზღაურების, ოფისის ხარჯების, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე ლიგის გათამაშებაში მონაწილეობის შენატანის, ტრანსპორტირებისა და მივლინების, ღონისძიებების ორგანიზების დაფინანსების, სამედიცინო ხარჯის, ინვენტარისა და უნიფორმების, აგრეთვე სხვა დანარჩენი საქონელის შეძენისათვის.

**7) პროგრამის მიზნები:**

№	პროგრამის მიზნები
1	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სპორტული საფეხბურთო საკლუბო გუნდისათვის მატერიალური მხარდაჭერა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მათი წარმატებით მონაწილეობის მიზნით.
2	ფეხბურთის სახეობის განვითარება
3	მისი შემდგომი პოპულარიზაცია



11) პროგრამით ბათვალისწინებული აღმინისტრაციული პერსონალი

№	თანამდებობა	რაოდენობა	თვის ხელფასი ერთ კაცზე (ლარი)	თვეში გასაცემი ხელფასი (ლარი)	შრომის ანაზღაურების მოცულობა 8 თვის განმავლობაში (ლარი)
1	დირექტორი	1	400	400	3200
2	მწვრთნელი	2	350	700	5600
3	ბუღალტერი	1	200	200	1600
4	ფეხბურთელი	18		2700	21600
5	მინდურის მომვლელი	1	100	100	800
6	დამლაგებელი	1	100	100	800
	<b>სულ:</b>	<b>24</b>		<b>4200</b>	<b>33 600</b>

შენიშვნა: ფეხბურთელის ხელფასი განისაზღვრება თითოეულ ფეხბურთელზე სახელშეკრულებო ურთიერთობების თანახმად.

12) პროგრამის მოსრბეულე პირთა შერჩევის წესი:

პროგრამის მომსახურეობით ისარგებლებს საფეხბურთო კლუბი “შუქურა”

13) დამატებითი ინფორმაცია:

ა) დამტკიცებული ხარჯების კვარტალური განაწილება

I კვარტალი 14 445 ლარი; II კვარტალი 18 955 ლარი;  
 III კვარტალი 12 400 ლარი; IV კვარტალი 4 200 ლარი

